# ტესტები გეოგრაფიაში

მოცემული ტესტები მიმართული არ არის მხოლოდ მასალის დამახსოვრებაზე. მათზე პასუხის გასაცემად საჭიროა გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების გაანალიზება.

მცდარია მოსაზრება, თითქოს დახურული, მრავლობითი არჩევნიანი ტესტები მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ცოდნის შემოწმებაზე შეიძლება იყოს ორიენტირებული. სწორედ, ამ მცარი მოსაზრების უარსაყოფად გამოდგება ქვემოთ მოცემული ტესტური დავალებები.

მასალა მომზადებულია გეოგრაფიაში საერთაშორისო ოლიმპიადის მასალებზე დაყრდნობით, ეს და ოლიმპიადის სხვა მოთხოვნები, წინა წლების ტესტები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: http://www.geoolympiad.org/fass/geoolympiad/what-is-igeo/index.shtml

# ინსტრუქცია

- ტესტი 25 ტესტური დავალებისგან შედგება
- თითოეულზე პასუხის გასაცემად გაქვთ 1 წუთი
- ტესტური დავალება მრავლობით არჩევნიან პასუხს მოიცავს
- მხოლოდ ერთი ვარიანტია სწორი
- აღნიშნეთ სწორი პასუხები პასუხის ფურცელზე

ტ.1 რომელი ქალაქის სურათია მოცემული? ის არის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი და ამავდროულად, ეკვატორთან ყველაზე ახლოს მდებარეობს

A. ბეიჯინი  B. ნაგანო  C. სეული  D. ტოკიო



# ტ 2. რას უჩვენებს მოცემული რუკა?

A. მარცვლეულის ექსპორტს
B. ნახშირორჟანგით ატმოსფეროს დაბინძურებას
C. მოსახლეობის რაოდენობას
D. საერთაშორისო ტურისტების მიღებას



## ტ.3 ამ სურათზე, რა სეზონი და დროა თბილისში?

A. ზამთარი, საღამო B. ზაფხული, გარიჟრაჟი

C. ზაფხული, საღამო D. ზამთარი, გარიჟრაჟი



ტ.4 ეს ფოტოები გადაღებულია ერთ ქვეყანაში. რომელია ეს ქვეყანა, რომელიც აღნიშნულია რუკაზე.










# ტ.5 რომელი ბუნებრივი საფრთხის მიტიგაციისთვის გამოდგება ეს კონსტრუქცია

A. ქვათაცვენა
B. მდინარისპირა ეროზია
C. მეწყერი
D. ყველა ზემოთქმული



**ტ.6 რომელ თვეში არის, დიდი ალბათობით, გადაღებული აღნიშნული ფოტო მანილაში**

A. თებერვალი B. აპრილი C. ივლისი D. დეკემბერი



## ტ.7 ორივე ფოტო ერთი რელიგიის ტაძრებია. რომელია ეს რელიგია?

A. ბუდიზმი

B. ქრისტიანული

C. ინდუიზმი

D.მუსულმანური





ტ.8 რომელი კონტური შეესაბამება მოცემულ სამგანზომილებიან რელიეფის ფორმას



A



B



C



D



# ტ.9 მარცხნიდან მარჯვნივ დაალაგეთ თანმიმდევრობით აღნიშნული ქალაქების შესაბამისი გრაფიკები

1.ათენი (საბერძნეთი) 2. ჩიტაგონგი (ბანგლადეში)

3. ზინდერი (ნიგერი) - წითელი ხაზი ნალექებია, ცისფერი სვეტები ტემპერატურა

A. 1, 2, 3 B. 1, 3, 2 C. 2, 3, 1 D. 3, 2, 1






ტ.10 ცხრილში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელი ცენტრალური ამერიკის ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი ნაკლები ემიგრაცია. აღნიშნეთ ქვეყნის შესაბამისი ასო პასუხების ცხრილში

| ქვეყანა | მშპ ერთ სულ მოსახლეზე | ზრდასრულთა წიგნიერება (%) | მოსახლეობის წლიური მატება (%) | ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა 1000 ცოცხლად დაბადებულზე |
|---|---|---|---|---|
| ნიკარაგუა | 2,499 | 78.0 | 1.3 | 23 |
| კოსტა რიკა | 10,453 | 96.2 | 1.6 | 9 |
| ჰონდურასი | 3,519 | 84.8 | 2.0 | 20 |
| გვატემალა | 4,297 | 75.2 | 2.5 | 25 |

ტ.11 მსგავსი ლანდშაფტი არ შეიძლება შეგვხდეს ქვემოთ მოცემულ ერთ ქვეყანაში. რომელია ეს ქვეყანა?

A. ავსტრალია B. ჩინეთი C. იაპონია D. აშშ



**ტ.12 წარმოიდგინე, რომ ხარ გაზეთის რედაქტორი. ჟურნალისტს უნდა დაასათაუროს ეს სურათი ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან ერთ-ერთით. შინაარსიდან გამომდინარე რომელს აარჩევდით?**

A. გამყინვარების ეპოქა იწყება
B. ფრთხილად, მეწყერსაშიში ზონა
C. უკან დახევა 20 წელიწადში
D. წყლის დაბინძურების საფრთხე



**ტ.13 სურათზე ნაჩვენებია ბამბუკის ტყე, რომელიც გამოიყენება პარკეტის საწარმოებლად. ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში მისი გარემოზე დაბალი ზემოქმედების გამო აღნიშნული პარკეტი პოპულარულია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვარიანტი არ უჩვენებს გარემოზე ზემოქმედების ხარისხს?**

A. ხუთწლიანი მწიფობის პერიოდი

B. არ ყავს მავნე მწერები, რის გამოც ფერტილიზატორებს არ საჭიროებს

C. პროდუქციის უდიდესი ნაწილი აზიაში მოდის

D. ბამბუკი ნაკლებად იწვევს ნიადაგის ეროზიას



# ტ.14 ეკონომიკის რომელი სექტორის ქსელია გამოსახული ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე?

A. საბანკო და საფინანსო მომსახურება
B. ბიო-ინდუსტრია
C. მოდის ინდუსტრია
D. ოქროთი ვაჭრობა



# ტ.15 დაასახელეთ სურათზე მოცემული ქანის ტიპი

A. კონგლომერატი
B. გრანიტი
C. ქვიშაქვა
D. თიხა ფიქალი



# ტ.16 მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდებიდან რომელი ეკუთვნის ვიეტნამს?



# ტ.17 ქვემოთ მოცემული სურათებიდან თუკი შენობაში ხართ რომელი მოქმედებაა სწორი მიწისძვრის დროს?

A.



B.



C.



D.



## ტ.18 რომელი კონტინენტია ამ ცხოველების ბუნებრივი გარემო?

A. აფრიკა  B. სამხრეთ ამერიკა  C. აზია D. ევროპა









# ტ.19 ქვემოთ მოცემული რომელი ბიომასის ტიპი წარმოადგენს ტროპიკულ ტყეს?



**ტ.20 ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ კონკრეტულ გამოფიტვის პროცესთან გვაქვს საქმე ამ ფოტოზე?**

A. ბიოლოგიური
B. ქარისმიერი
C. თერმალური
D. წყლისმიერი



# ტ.21 რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი ბიომის კლიმატური გრაფიკია მოცემული

A. წიწოვანი ტყე

B.ტროპიკული ტყე

C. სავანა

D.ფართოფოთლოვანი ტყე



# ტ.22 ყველაზე აკურატულად რას ასახავს ქვემოთ მოცემული რუკის პროექცია

A. ობიექტებს შორის მანძილი

B. ხმელეთისა და წყლის შეფარდება

C. ობიექტების ფორმა

D. ობიექტების ზომა



ტ.23 როდესაც დედამიწა მზის ორბიტაზე მე-3 წერილშია, რომელ განედშია შუადღის მზე ყველაზე დაბლა?

A. 23.5 ˚S B. 30 ˚N C. 30 ˚S D. 40 ˚N



# ტ. 24 რას გვეუბნება ქვეყნის ეკონომიკაზე ქვემოთ მოცემული ფოტო?




A. მაღალი სოციალური კეთილდღეობა

B. მაღალი მშპ

C. მაღალი ინფლაციის დონე

D. დაბალი დანაშაულის კოეფიციენტი

**ტ.25 დიაგრამის მიხედვით მდინარის რომელ სექციაშია ეროზიისა და დალექვის პროცესი აქტიური?**

A. ეროზია მე-2 და მე-4-ში; დალექვა პირველ და მე-3-ში

B. ეროზია პირველ და მე-4-ში; დალექვა მე-5-ში

C. ეროზია მე-3-ში, დალექვა მე-7-ში

D. ეროზია მე-7-ში, დალექვა მე-8-ში



# სწორი პასუხები

| ტესტური დავალება | A | B | C | D |
|---|---|---|---|---|
| ტ.1 | | √ | | |
| ტ.2 | | | | √ |
| ტ.3 | | √ | | |
| ტ.4 | | | √ | |
| ტ.5 | | | | √ |
| ტ.6 | | | √ | |
| ტ.7 | √ | | | |
| ტ.8 | | √ | | |
| ტ.9 | | | √ | |
| ტ.10 | √ | | | |
| ტ.11 | | | √ | |
| ტ.12 | | | √ | |
| ტ.13 | | | √ | |

| ტესტური დავალება | A | B | C | D |
|---|---|---|---|---|
| ტ.14 | √ | | | |
| ტ.15 | | | √ | |
| ტ.16 | | √ | | |
| ტ.17 | | | √ | |
| ტ.18 | | √ | | |
| ტ.19 | | | √ | |
| ტ.20 | √ | | | |
| ტ.21 | √ | | | |
| ტ.22 | √ | | | |
| ტ.23 | | | | √ |
| ტ.24 | | | √ | |
| ტ.25 | | √ | | |